პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 თებერვალი ხუთშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 35 (14945)

# დამკვრელური ბრიგადის ფასტიკი

## ავტომშენებლების გამარჯვება

ქუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც გასული წლის მეოთხე კვარტალის შედეგებით ქვეყნის მონათესავე საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი მოიპოვა, აღმავლობით დაიწყო მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი.

იანვარში ავტომშენებლებმა ახალი გამარჯვება მოიპოვეს — დავალებას ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლით გადაჭარბეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათობით „კაზ-608“ მარკის ავტოსაწევარი და „კაზ-717“ მარკის ნახევრადმისაბმელი, 65 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები.

ქარხნის კოლექტივმა 300 ათასი მანეთის ზეგეგმითი სახალხონლო პროდუქცია გამოუშვა და 214 ათასი მანეთით გადალამეტა რეალიზაციის მოცულობის იანვრის დავალებას.

სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე თავი გამოიჩინეს მთავარი კონვეიერის, სამმეჯლო, № 2 საჩამომსხმელო, ნორმალებისა და ძრავების საამქროების კოლექტივებმა, რომლებსაც კ. კინწურაშვილი, ნ. კიკნაძე, მ. შავლაყაძე, მ. ბენიძე და ვ. ჩაჩხიანი უძღვებიან.

## კარგი სტარტი

● რუსთავი. (საკ. კორ.). ლენინის ორდენოსანი № 1 სამშენებლო ტრესტის კოლექტივი წარმატებით ეწევა წინასაყრილობო შრომითს ვახტს, აუმჯობესებს ტექნიკურო-ეკონომიურ მაჩვენებლებს. მშენებლებმა გადაჭარბებით გაანაღდეს იანვრის დავალება. 2 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. მშენებლობის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია ათასობით მანეთი ეკონომია.

ტრესტის სამმართველოებს შორის ყველაზე მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ ქამმრეწვმშენისა და სპეცმშენის სამმართველოები (უფროსები კ. უკლება, დ. ცერცვაძე). ქიმიის მშენებლები ახლა აზოტოვანი სასუქების ქარხნის გაფართოების სამუშაოებს აწარმოებენ.

## იკისრეს, შეასრულეს

ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავს. ბევრმა რაიონმა უკვე გაანაღდა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალება.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით დუშეთის რაიონს სახელმწიფოსათვის პირველ კვარტალში უნდა მიეყიდა 1.100 ცენტნერი ხორცი, ფაქტიურად მიჰყიდა 1.193 ცენტნერი. მცხეთის რაიონის მეცხოველეებმა პირველი კვარტალის გეგმა 116 პროცენტით შეასრულეს, აბაშის — 116, ზესტაფონის — 115, ლანჩხუთის — 108, ორჯონიკიძის რაიონის მეცხოველეებმა — 101 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის დავალებები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სიმონიანის, ზუგდიდის, მახარაძის რაიონებისა და ტყიბულის მეცხოველეებმა.

მიუხედავად ზამთრის ძნელი პირობებისა, ასპინძის რაიონის მეცხოველეებმა გადაჭარბებით გაანაღდეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 1.411 ცენტნერი რძე ნაცვლად 1.000 ცენტნერისა. ცაგერლებმა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის დავალება 175 პროცენტით შეასრულეს.

სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები ვადამდე დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ვანის, ცაგერის რაიონებმა და ტყიბულელმა მშრომელებმა.

# ახალი ზღუდეებისაკენ!

მეჯამდა მერვე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის შედეგები. ახლა ცხადია, რომ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები მერვე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი სოციალურ-ეკონომიური მაჩვენებლების შესახებ წარმატებით შესრულდა. გადაიდგა კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების გზაზე. და ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს საბჭოთა ხალხის მძლავრ შემოქმედებითს ენერგიას.

1970 წელს ცუდად როდი იშრომეს ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა. სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა შესრულებულია 108 პროცენტით. 1969 წელთან შედარებით რეალიზებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 9 პროცენტით, სამრეწველო წარმოების მოცულობა 10 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მომუშავე საწარმოებმა გამოუშვეს მთელი პროდუქციის 83 პროცენტი და მიიღეს მრეწველობის მოგების 86 პროცენტი.

როგორც ვხედავთ, მასების შემოქმედებითი აქტივობის შემდგომ განვითარებას ხელს უწყობენ სამეურნეო რეფორმა და მისი ახალი პრინციპები. ცალკეული მუშაკის ინტერესები უშუალოდ დამოკიდებულია მთელი კოლექტივის წარმატებებზე და იქ, სადაც სწორად იყენებენ რეფორმის ბერკეტებს, უნარიანად უხამებენ ერთმანეთს მორალური და მატერიალური წახალისების ფორმებს, აღწევენ წარმოების ეფექტიანობის თანმიმდევრულ ამაღლებას.

კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე, როცა განუზომლად გაიზარდა ჩვენი სახალხო მეურნეობის მასშტაბები, მასების შემოქმედებითი აქტივობის შემდგომ ამაღლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მოხსენებაში „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა: ინიციატივა, რომელსაც იჩენენ მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური, მმართველობის პერსონალი, მშრომელთა მრავალრიცხოვანი წინადადებანი და კონკრეტული ვალდებულებანი — ყოველივე ეს მაყიფიდ ადასტურებს, რომ ქალაქისა და სოფლის მშრომელები, მთელი საბჭოთა ხალხი ნებსდვლად გრძნობენ თავს ქვეყნის გაბატონ-პატრონად, დიდად ზრუნავენ წარმოების ინტერესებისათვის, სახალხო დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის.

სწორედ საქართველოს მუშათა კლასის შრომითი აქტივობის შედეგია ის, რომ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა შრომის ნაყოფიერება 1969 წელთან შედარებით გაზარდეს 9 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით მიღებულია პროდუქციის მთელი მატების 92 პროცენტი. ასევე შესრულებულია პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალება. სამრეწველო საწარმოთა მოგება 1969 წელთან შედარებით გაიზარდა 15,1 პროცენტით.

სტატისტიკის ეს მონაცემები ახარებენ საქართველოს მუშათა კლასის თვითეულ წარმომადგენელს და ამასთანავე მათს ყურადღებას მიაპყრობენ გადაწყვეტელ ამოცანებს. საქმე ისაა იმას, რომ, მართალია, მთლიანად რეპუბლიკის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა 1970 წლის გეგმა, მაგრამ საწარმოთა ნაწილმა თავი ვერ გაართვა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების და ოთების გადიდების გეგმებს, ყველგან მთლიანად ვერ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, სათანადო ტემპებით არ ხერგავენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს. ცუდად არის მოწყობილი შრომა, სწორად ვერ წარმართავენ მასების შემოქმედებითს ენერგიას. აი სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ შარშან გეგმა ვერ შეასრულა 108 საწარმომ, სამშობლოს დააკლეს მილიონობით მანეთის პროდუქცია. და ამით უკან დასჩნეს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა ეკონომიური მაჩვენებლები. გასაკუთრებით ჩაიორჩინენ საშენ მასალათა მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების საწარმოთა კოლექტივები.

რეპუბლიკის მრეწველობის განვითარება თანმიდევრული და დინამიკურია, ყოველ ძველ ახალ ეტაპს საფუძვლად უდევს მიღწეული და მოპოვებული მტკიცე ბაზა. ამიტომ ფიქრ ფიქრ შეუწყნარებელია ისეთ საწარმოთა არსებობა, რომლებიც ჩამორჩებიან, ფეხს ვერ უწყობენ მოწინავე საწარმოთა კოლექტივებს.

ახლა, როცა ძალაში შევიდა ახალი, მეცხრე ხუთწლედი, პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტადრად უნდა დაუკვირონ გასული წლის შედეგები თვითეული საწარმოს წინაშე ადგომ ახალ ამოცანებს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ, როგორც სტატისტიკური სამმართველოს ცნობა მოწმობს, ჯერ კიდევ ბევრი რეზერვია ასამოქმედებელი, ნელა ხდება ცალკეულ საწარმოთა საპროექტო სიმძლავრეების ათვისება, არ სრულდება საწარმოო დავალებანი. ზოგიერთი საძინისტროს სისტემაში ფილოსოფიურად არ არის გასაოცებელებული საშეცნიერო-კვლევითი სამუშაოებია, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენების გეგმები. ამთავითვე ყველაფერი უნდა ვიღონოთ ამ ხაკლოვანებათა რაც შეიძლება მალე აღმოფხვრისათვის, ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ მომგებიანობის რეჟიმი, შრომითი და სახელმწიფო დისციპლინა, რათა მაქსიმალურად ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა.

ახალი ხუთწლედის პირველი თვე გავიდა. სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად გაშლილმა საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებამ კიდევ უფრო ფართო გაქანება მიიღო. რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა — თბილისის სართავ-სატრიოტაჟო და ელექტროკომბინატების მშრომელებმა, ქუთაისის სატრაქტორო და საავტომობილო ქარხნების მუშაკებმა, ციაურელმა მაღაროელებმა და ტყიბულელმა მეძახტეებმა სამშობლოს იანვრის დავალების შესრულება ვადამდე უპატაკეს და ვალდებულების აწგარიშში დიდძალი პროდუქცია გამოუშვეს. ეს კარგი და ძისასალმებელია. მაგრამ რესპუბლიკის ასობით საწარმომ ცუდად დაიწყო ახალი ხუთწლედი, ვერ შეასრულა იანვრის გეგმა. ეს მეტად დამაფიქრებელია.

საწარმოთა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა, დარგობრივმა სამინისტროებმა ამთავითვე უნდა ძიძღონ გადამჭრელი ზომები ჩამორჩენის დასაძლევად, ყველაფერი გაკეთონ იმისათვის, რომ საწარმო რიტმულად ასრულებდეს გეგმას, იცავდეს პროდუქციის ხარისხს.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს აღმავლობას, შეჯიბრების თვითეულ მონაწილეს უნდა შეუქმნან ყველა პირობა გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის, პრაქტიკულად განახორციელონ ყოველი სახარგებლო წინადადება, რომელიც მიზნად ისახავს ცოცხალი შრომისა და მატერიალური რესურსების მომჭირნეობას. საქმე აქ მარტოოდენ დიდი ეკონომიური ეფექტი კი არ არის, არამედ ისიც, რომ მუშის ინიციატივისათვის მხარის დაჭერა კოლექტივს განუვითარებს რეზერვების შემოქმედებითი ძიებისადმი მისწრაფებას.

რესპუბლიკის თვითეულმა საწარმომ უკვე იკისრა სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური ვალდებულებანი. მოსკოვის მოწინავე საწარმოთა მაგალითისამებრ რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნები ემზადებიან კომუნისტური შაბათობისათვის, რომლის ხასხრებს შეიტანენ ხუთწლედის ფონდში.

ახლა მთავარია კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საწარმოს ყველა უბანზე, მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი მშობლიური პარტიის მომავალი ყრილობის აღსანიშნავად.

**ყრილობისადმი დამკვრელური ვახტის ყველა უბანზე ახალი ძალით უნდა გამოვლინდეს საქართველოს მუშათა კლასის შემოქმედებითი ინიციატივა**

## მიფრინავს „კოსმოსი-394“

1971 წლის 9 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მეორეგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-394“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს. (საკდესი).

# ქიმიკოსის გმირობა

მკითხველო, გაგაცნობთ ადამიანს, რომლის პორტრეტსაც დღეს ჩვენი გაზეთი აქვეყნებს. იგი ჯერ სრულიად ახალგაზრდა გოგონაა, 22 წლისაც არ არის, მაგრამ მასზე უკვე დიდი პატივისცემით ლაპარაკობენ, მის სიტყვას აფასებენ.

რით დაიმსახურა სვეტლანა აბულაძემ ასეთი პატივისცემა? ნაყოფიერი, შემოქმედებითი შრომით. ქალიშვილმა კარგად იცის, რომ კაპროლაქტამი, რომელსაც იგი ამზადებს, ძვირფასი მასალაა, ძირითადი ნედლეულია ხელოვნური ბოჭკოს მისაღებად; ესე იგი რაც უფრო მეტ კაპროლაქტამს გამოუშვებს, მით უფრო მეტი ხელოვნური ბოჭკო დამზადდება. ამიტომ ძალღონეს არ ზოგავს, რომ დღეს უკეთ იმუშაოს, ვიდრე გუშინ, ხოლო ხვალ კიდევ უკეთ, ვიდრე დღეს.

ს. აბულაძე რესთავის ქიმიური კომბინატის ლაქტამის საამქროს მეაპარატეა. საამქრომ, სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ვაშლილ შეჯიბრებაში რომ ჩაება, ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე გამოუშვას 400 ტონა ზეგეგმითი კაპროლაქტამი, ხოლო წლის პირველ კვარტალში — 100 ტონა. ამ ვალდებულებათა განაღდებისათვის სხვებთან ერთად დამკვრელურად შრომობს ს. აბულაძე. დღე ისე არ გავა, რომ მან ცვლის დავალება გადაჭარბებით არ შეასრულოს, რაიმე სიახლე არ შეიტანოს ტექნოლოგიის გაუმჯობესების საქმეში.

როცა მის შრომითს გმირობაზე სიტყვა ჩამოვარდება, იგი იღიმება და ამბობს: ეს რა გმირობაა, ჩვენ ვალდებული ვართ ასე ვიმუშაოთო. ამ უბრალო რქმას დიდი ქვეტექსტი აქვს: იმ საქმეს, რომელიც შეიძლება გმირობის გვერდით დავაყენოთ, საბჭოთა ახალგაზრდა თავის ყოველდღიურ მოვალეობად თვლის.

იყო დრო, როცა ჩვენი ქვეყანა საზღვარგარეთიდან ოქროს ფასად ყიდულობდა კაპროლაქტამს. დღეკი ქართველმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა ჩვენს ქვეყანაში ერთერთმა პირველებმა სრულყოფილად აითვისეს ძვირფასი ნედლეულის გამოშვება, იმ პირველ ქიმიკოსთა შორის, რომლებმაც ამ პირველი პროდუქციის გამოშვება აითვისეს, ს. აბულაძეც იყო.

ს. აბულაძემ 1967 წელს დამთავრა საშუალო სკოლა და სამუშაოდ ქიმიურ კომბინატს მიაშურა. აქ უკვე მუშაობდნენ მამამისი შალვა და უფროსი ძმა ნუგზარი. სვეტლანა მალე დაეუფლა ქიმიკოსის პროფესიას, სათავეში ჩაუდგა ლაქტამის საამქროს კომკავშირულ ორგანიზაციას, გახდა სკკპ წევრი.

რუსთაველმა კომუნისტებმა ს. აბულაძეს დიდი ნდობა გამოუცხადეს, საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატად აირჩიეს. ეს ნდობა მან შრომითი გმირობით, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით დაიმსახურა.

**რ. დავიდოვი.**
რუსთავი.

* * *

სურათზე: სვეტლანა აბულაძე.

ფოტო რ. ბაბრიჭიძისა.

## ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა ლე თხან ნგის

10 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ვიეტნამის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ლე თხან ნგი.

საუბრის დროს, რომელმაც გულითადობის, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, ლე თხან ნგიმ ილაპარაკა ინდოჩინეთში მდგომარეობის გამწვავების შესახებ. მან აღნიშნა, თუ რა სამაში ხასიათი აქვს ამერიკის იმპერიალისტის მოქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს აგრესიის გაფართოებას ლაოსსა და კამბოჯაში და ახალი პროვოკაციების მოწყობას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ა. ნ. კოსიგინმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების აგრესიულ მოქმედებას ინდოჩინეთში, ამერიკა-საიგონის ჯარების შეჭრას ლაოსის ტერიტორიაზე, მათს თარეშს კამბოჯაში, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტის მუდმივ დარღვევას. საბჭოთა კავშირი სავსებით უჭერს მხარს გმირ ვიეტნამელ ხალხს, ლაოსელ და კამბოჯელ მამაც პატრიოტებს მათ სამართლიან ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ა. ნ. კოსიგინმა კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყოველნაირი მხარდაჭერა გაუწიოს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას იმპერიალისტური აგრესიის მოგერიებასა და სოციალისტურ მშენებლობაში.

საუბარს დაესწრნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ნგუენ სუო ტანი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ს. ს. ნემჩინა. (საკდესი).

## ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების ქრებული ყირგიზულ ენაზე

ფრუნზე, 9 თებერვალი. (საკდესი). ყირგიზულ ენაზე გამოვიდა პირველი წიგნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების ორტომეულისა „ლენინური კურსით“. იგი გამოუშვა გამომცემლობა „ყირგიზსტანმა“.

ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი გამოსაცემად ამზადებს მეორე ტომს.



# გამომუშავებული თანხა — ხუთწლედის ფონდში

**საქართველოს** კომპარტიის თბილისის კომიტეტში 10 თებერვალს გაიმართა საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების, წარმოების მოწინავეებისა და ნოვატორების წარმომადგენელთა კრება, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშაკთა ინიციატივას მომდინარე წლის 17 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ი. ა. შევარდნაძემ.

კრებაზე გამოვიდნენ პარტიის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ნ. გრიგალაშვილი, სტალინის სახელობის ელექტროგაგზიმეკეთილების ქარხნის უფროსი ა. ა. მასხარაშვილი, „საქიდროენერგომშენის“ ტრესტის დამბმარე საწარმოების კომბინატის ზეინკალთა ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. შ. ჭელიძე, საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ი. ფ. სარიშვილი, „მაღლივმშენის“ ტრესტის მმართველი ი. ი. არობელიძე, ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის დირექტორი ი. დ. იმერლიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსი პ. გ. ნაკაშიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი გ. ა. ანდრონიკაშვილი.

კრების შედეგები შეაჯამა ო. ი. ლოლაშვილმა.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ თბილისის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უფრო მძიმე ხელოვნური წამატებანი მოიპოვონ სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამის საწინდარია ახალი ხუთწლედის პირველი თვის ძუშაობის შედეგები, რომლის პროგრამა რეალიზებულია 102 პროცენტით და მეტად. თბილისელთა ეროობითი პერსეეტივები ასახულია მათ მიერ ღირსშესანიშნავი თარიღებისათვის ნაკისრ მაღალ სოციალისტურ ვალდებულებებში.

ქალაქის სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მხურვალედ დაუჭირეს მხარი მოსკოველთა მოწოდებას მომდინარე წლის 17 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა, ამ დღეს თავიანთ სამუშაო ადგილებზე ამუშაონ ფასსყიდლოდ, დაზოგილი ნედლეულთან, მასალებით, ენერგორესურსებით, მთელი გამომუშავებული თანხა გადარიცხონ საქალაქო საბჭოს ფონდში. ამ პატრიოტული თაოსნობის ინიციატორები არიან მოწინავე მუშები, წარმოების ნოვატორები. თბილისში ამ ძვირფას ინიციატივას პირველებმა დაუჭიეს მხარი 26 კომპირის სახელობის მანქანათსაშენებლო ქარხანა, სატელეგრაფო აპარატურის, დიმიტროვის სახელობის საავიაციო, ფოლად-თუჯსამსხმელო, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნების და სხვათა კოლექტივებმა. ახლა ამ ინიციატივას გამოეხმაურნენ ქალაქის მეტი წილი საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებების, სასწავლებლების კოლექტივები.

სამინისტროების, უწყებების, საქალაქო დაწესებულებების მოსამსახურენი, სტუდენტები და უფროსი კლასების მოსწავლეები, გაითვალისწინებენ რა წინასწარ ნაკისრი ვალდებულებანი, ამუშავებენ სამშენებლო მოედნებზე, ქალაქის კეთილმოწყობისათვის, მოაწყობენ სხვადასხვა სარეკონტო სამუშაოს, გაამწვანებენ ბაღებს, სკვერებს, ეზოებსა და სხვ.

კრების მონაწილეებმა თბილისისა და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქების მშრომელებს მოუწოდეს აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომუნისტური შაბათობის მომზადებასა და მოწყობაში. (საკდესი).

## „ლენოსოდ-1“: ახლოვდება მთვარის მეოთხე შუაღრე

**ფორეული კოსმოსური კავშირგაბამულობის ცენტრი,** 10 თებერვალი. (საკდესი). 8 და 9 თებერვალს განხორციელდა მთვარეძაველთან კავშირგაბმა ულობილ მორიგი სეანსები. პირველი სეანსის დროს თვითმავალი აპარატი მიდიოდა ჩრდილოეთისაკენ პერაკლონტეს კონცხის მიმართულებით, რომელიც ჩანს წინათ მიღებულ პანორამებზე. ამასთან მოძრაობის ტრასაზე ზედაპირი ოღროჩოღრო, რაც გამოწვეულია 50-100 მეტრი დიამეტრის ძველი კრატერების თავმოყრით.

9 თებერვალს გრძელდებოდა ამ მონაკვეთის კვლევა. ნაპოვნია 20 მეტრამდე დიამეტრის რამდენიმე ახალი კრატერი. სელენოლოგთა დასკვნით, ერთ-ერთი მათგანი ყველაზე ახალგაზრდაა იმათ შორის, რაც კი აქამდე შეხვედრია მთვარეძაველს.

უკანასკნელი სეანსის დროს განხორციელდა გრუნტის ქიმიური შედგენილობის ხანგრძლივი ანალიზი. ამასთან გაზომვები წარმოებდა როგორც ზედაპირულ ხელუხლებელ ფენაში (რეგოლიტში), ისე იმ რეგოლიტში, რომელსაც ზედაპირული ფენა არა აქვს.

მთვარის ზედაპირის ამ მონაკვეთის შესწავლის შედეგების მიხედვით შედგენილია მისი დაწვრილებითი გეოლოგიური, მორფოლოგიური სქემა.

ზემოაღნიშნული სეანსების დროს თვითმავალის რადიომეტრი და რენტგენული ტელესკოპი მუშაობდნენ პროგრამის შესაბამისად. 10 თებერვლისათვის ავტომატური აპარატი 578 მეტრით არის დაშორებული „ლუნა-17“ სადგურის დასაჯდომ საფეხურს.

## მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

**9 თებერვალს** მოსკოვში გაიმართა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა შეკრებილთ გააცნო, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს საბჭოთა საზოგადოებრიობა ამერიკის შეჭრის წინააღმდეგ მებრძოლი ინდოჩინეთის ხალხების დასაცავად. ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის; ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისა და განიარაღებისა და ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის გადაუდებელ ღონისძიებათა მიღებისათვის. სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია საზღვარგარეთის ქვეყნების მშვიდობისმოყვარე ძალებთან თანამშრომლობის გაფართოების შესახებ.

სხდომის მონაწილენი მიესალმნენ 1971 წელს ბუდაპეშტში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ასამბლეის მოწვევას და განიხილეს მომავალ ასამბლეაზე საბჭოთა საზოგადოებრიობის მონაწილეობასთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

ნ. ს. ტიხონოვმა სპატიო ოქროს მედლები „მშვიდობისათვის მებრძოლს“ გადასცა საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვასა და კომპოზიტორ დ. დ. შოსტაკოვიჩს. (საკდესი).

## ახალი ფირმის მარკით

**ლიუბერცი** (მოსკოვის ოლქი). უხტომსკის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელმა ქარხანამ 9 თებერვალს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გაუგზავნა „სკ-2,1“ ჩქარული სათიბების პარტია, რომლებსაც ხარისხის ნიშანი აქვთ. მანქანებზე საწარმოს ახალი მარკაა: „დამზადებულია სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს სათიბი მანქანების წარმოების ვაერთიანების მიერ“.

ფირმა უკვე შეუდგა ახალი სამქრის მშენებლობას და ძველთა რეკონსტრუქციას სამივე საწარმოში. ვარაუდობენ, რომ უკვე წელს მარტო წარმოების მართვის ხარჯების შემცირების გზით ეკონომია მიიღწევს 150 ათას მანეთს. (საკდესი).

## მნიშვნელოვანი მოვლენის წინ

### მოსკოვის ტელეფონები ნომერს იცვლიან

**19 თებერვალს** ღამით მოსკოვის რვა ავტომატური სატელეფონო სადგურის ნომრების წინ „ერთიანის“ ნაცვლად გამოჩნდება „სამიანი“ ან „ოთხიანი“. მაგალითად, ნომერი 145-33-33 იქნება 445-33-33.

ბევრი, როცა შეიტყობს ამ ამბავს, ალბათ, უკმაყოფილოდ იტყვის: „როდემდის უნდა შეიცვალოს ეს ნომრებიო!“.

— უნდა შეეხსნოთ, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს მოსკოვის საქალაქო სატელეფონო ქსელის მთავარმა ინჟინერმა ბ. ი. მატეუშმა, — რომ ასეთი ცვლილება, რა თქმა უნდა, ჩვენი ახირება როდია. ამის საჭიროებას იწვევს საქალაქო სატელეფონო ქსელის სწრაფი ზრდა. მარტო გასულ ხუთწლედში მოსკოვმა მიიღო 700 ათასი ახალი ნომერი. ეს დაახლოებით იმდენია, რამდენიც მოსკოვის ტელეფონის თითქმის მთელი 90 წლის ისტორიის მანძილზე იყო. ახლა ქალაქში დაახლოებით 1,5 მილიონი ნომერია, უახლოეს წლებში კი კიდევ 750 ათასი ნომერი შეემატება.

უკვე რამდენიმე წელია გრძელდება დედაქალაქის სატელეფონო მეურნეობის რეკონსტრუქცია. მოსკოვის ტელეფონი შვიდნიშნა გახდა, მიიღო ინდექსები „1“ და „2“. ამან საშუალება მოგვცა გაგვედიდებინა ქსელის ტევადობა. თუმცა „ერთიანისა“ და „ორიანის“ შესაძლებლობანი ჯერ კიდევ ამოწურული არ არის, მაგრამ შემოგვაქვს „სამიანი“ და „ოთხიანი“, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ გვქონდეს საჭირო რეზერვი მომავლისათვის.

ჩვენს დიად საამშოგლოში

## მიფრინავს „კოსმოსი-394“

**მუდმივი, შეგნებულად გატარებული პროპორციულობა, მართლაც, გეგმაშეწონილობა იქნებოდა...**

**ვ. ი. ლენინი**

# ტემპი, პროპორციები, დაგეგმვა

**ი. მიქელაძე,**

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი.

◆

სოციალიზმი უდიდეს უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარება შეადგენს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივმა საკუთრებამ შესაძლებელი და აუცილებელი გახადა სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიური კანონის მოქმედება, რამაც უზრუნველყო სოციალისტური მეურნეობის წარმართვა მეცნიერულად დამუშავებული პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შესაბამისად. ვ. ი. ლენინს სოციალისტური ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარება სოციალიზმის უდიდეს მონაპოვრად მიიჩნდა და გეგმიან ხელმძღვანელობას სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად თვლიდა.

სოციალისტური მშენებლობის განვლილი წლების შანძილზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის საფუძველზე სოციალისტური დაგეგმვის თეორია და პრაქტიკა. დაგეგმვის საშუალებით ხორციელდება საბჭოთა კავშირში სახალხო მეურნეობის ძირითადი პროპორციების დადგენა და ეკონომიკის უკრიზისო განვითარება, წარმოების უწყვეტი ზრდა და სრულყოფა მოწინავე ტექნიკის დანერგვის საფუძველზე. ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იცვლება მეურნეობის ხელმძღვანელობის ფორმები, დაგეგმვის მეთოდები და წესები.

1920 წელს ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებით ჩამოყალიბდა სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელსაც დაეკვალა საბჭოთა რუსეთის ელექტრიფიკაციის პირველი პერსპექტიული გეგმის შედგენა. ეს იყო ე. წ. „გოელროს“ გეგმა. იგი ითვალისწინებდა არა მარტო საკუთრივ ელექტრიფიკაციის განვითარებას, არამედ ასახავდა სახალხო მეურნეობის მატერიალური წარმოების ყველა დარგის წინაშე მდგომ ამოცანებს.

ვ. ი. ლენინი მრავალგზის მიუთითებდა სოციალისტური ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარების აუცილებლობაზე. იგი აღნიშნავდა, რომ არ შეიძლება სოციალისტური მეურნეობის წარმართვა, თუ არ არის როგორც ხანგრძლივი, ისე უფრო მოკლე პერიოდისათვის გათვალისწინებული გეგმები.

სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული დაგეგმვა შეხამებულია საწარმოთა კოლექტივების შემოქმედებით ინიციატივასთან და მშრომელი მასების აქტივობასთან. მშრომელი მასების აქტიური მონაწილეობა დაგეგმვაში ვლინდება ერთი მხრივ იმით, რომ ერთიანი სახელმწიფო გეგმის შედგენის საფუძველები არის გეგმის პროექტები, რომლებსაც ადგენენ საწარმოები, გაერთიანებები, დარგობრივი სამინისტროები და მოკავშირე რესპუბლიკები და წარუდგენენ განსახილველად სსრ კავშირის თავრობასა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ხოლო მეორე მხრივ გეგმაინობა გეგმის შედგენით როდი თავრდება, პირიქით, იგი ფართოვდება და ღრმავდება გეგმის შესრულების პროცესში, როდესაც ვლინდება დამატებითი შესაძლებლობანი, ზუსტდება გამოსაშვები პროდუქციის მოცულობა და ასორტიმენტი, ვლინდება შიდარეზერვები, ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ მშრომელთა ფართო მასები.

ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახალხო მეურნეობის მართვისა და დაგეგმვის გაუმჯობესებას ლენინური პრინციპების შესაბამისად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965) პლენუმმა მრავალი ღონისძიება დასახა დაგეგმვის სრულყოფისათვის, გეგმების მეცნიერული დონის ამაღლებისათვის და სამრეწველო საწარმოების ეკონომიური სტიმულირებისათვის.

დაგეგმვის გაუმჯობესებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაგეგმვის საბალანსო მეთოდის გამოყენების შემდგომ გაღრმავებას და პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსების შედგენის პრაქტიკის გაძლიერებას. ამასთან აუცილებელია გეგმაინობაში სხვადასხვა ვარიანტების შემუშავების პრაქტიკის გამოყენება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მოვახდინოთ მათი შედარებითი დახასიათება და ამოვარჩიოთ ოპტიმალური ვარიანტი. ყველა ამისათვის აუცილებელია მათემატიკური მეთოდების და ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების ფართოდ გამოყენება.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვა იმთავითვე დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის თვალსაზრისით წარიმართა. ჯერ კიდევ სოციალისტური მშენებლობის გარიჟრაჟზე ვ. ი. ლენინის მითითებათა თანახმად შედგენილ პირველ პერსპექტიულ გეგმაში — „გოელროს“ გეგმაში გათვალისწინებული იყო როგორც დარგობრივი დავალებანი, ისე მათი განაწილება ძირითად ეკონომიურ რაიონებს შორის. სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებში ხუთწლიანი გეგმის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული მეურნეობის მართვის დარგობრივი პრინციპის და ტერიტორიული დაგეგმვის სწორი შეხამების აუცილებლობა.

დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის სწორი შეხამებისათვის საჭიროა დარგობრივი ასპექტით დასახულ საგეგმო დავალებათა და მოკავშირე რესპუბლიკისა და ეკონომიური რაიონების კომპლექსური გაგებიდან გამომდინარე დავალებათა შორის ოპტიმალური კავშირის დამყარება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ძირფესვიანად შეიცვალა მთავარი სახალხომეურნეობრივი პროპორციები როგორც კვლავწარმოების სფეროს შორის, ისე სახალხო მეურნეობის დარგებს შორის; გაძლიერდა და გაღრმავდა სამეურნეო ურთიერთობა რესპუბლიკის შიგნით და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან და ეკონომიურ რაიონებთან.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის გავლენის სფეროს გაფართოება საბჭოთა კავშირში მთლიანად ხორციელდება სოციალიზმის პოზიციების ზრდისა და განმტკიცების კვალობაზე. სახალხო მეურნეობის დაგეგმვა სრულად მოიცავს სახალხო მეურნეობის დარგებსაც და სფეროებს, ასევე ცალკეული რესპუბლიკებისა და ეკონომიური რაიონების მეურნეობის განვითარებას.

ტერიტორიული დაგეგმვის გაუმჯობესების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკებში, როგორც სუვერენულ სახელმწიფოებში, იმთავითვე შეიქმნა სახელმწიფო საგეგმო კომისიები. საბჭოთა საქართველოში საერთო რესპუბლიკური მასშტაბით სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 8 მაისის დადგენილებით საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან ჩამოყალიბდა სახელმწიფო საგეგმო კომისია (მუშამად კომიტეტი), როგორც უფლმოგმოქმედი სახელმწიფო მმართველობის ორგანო, რომელსაც დაეკვალა პარტიისა და თავრობის დირექტივების შესაბამისად სახალხო მეურნეობის დაგეგმვის წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტების შემუშავება და მათი შესრულების შემოწმება და ამავე დროს დაეკისრა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სახალხომეურნეობრივი უველაზე მნიშვნელოვანი პროექტებისა და პრობლემების განხილვა. საგეგმო კომიტეტის დარგობრივ უწყებებთან ერთად შედგენილ გეგმებში უნდა ასახულიყო საქართველოს ეკონომიკის ყველა დარგის განვითარების ტემპები და მთავარი სახალხო მეურნეობრივი პროპორციები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შემუშავება წარმოებს მის ტერიტორიაზე მდებარე ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაობის გათვალისწინებით, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა. მთავარი და გადამწყვეტი ის არის, რომ ამგვარად შემუშავებული კომპლექსური გეგმა სამინისტროებისა და უწყებების გეგმებიდან ამოკრეფილ მონაცემთა და მაჩვენებელთა მექანიკურ ნაერთს კი არ წარმოადგენს, არამედ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გაფართოებული კვლავწარმოების მოთხოვნები გეგმაში სათანადო საბალანსო გაანგარიშებათა შესაბამისად აისახება.

თანამედროვე პირობებში ტერიტორიული დაგეგმვისა და მეურნეობის ხელმძღვანელობის მეცნიერული მუშავება და მათი შესრულების შემოწმება და ამავე დროს დაეკისრა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სახალხომეურნეობრივი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტებისა და პრობლემების განხილვა. საგეგმო კომიტეტის დარგობრივ უწყებებთან ერთად შედგენილ გეგმებში უნდა ასახულიყო საქართველოს ეკონომიკის ყველა დარგის განვითარების ტემპები და მთავარი სახალხო მეურნეობრივი პროპორციები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შემუშავება წარმოებს მის ტერიტორიაზე მდებარე ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაობის გათვალისწინებით, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა. მთავარი და გადამწყვეტი ის არის, რომ ამგვარად შემუშავებული კომპლექსური გეგმა სამინისტროებისა და უწყებების გეგმებიდან ამოკრეფილ მონაცემთა და მაჩვენებელთა მექანიკურ ნაერთს კი არ წარმოადგენს, არამედ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გაფართოებული კვლავწარმოების მოთხოვნები გეგმაში სათანადო საბალანსო გაანგარიშებათა შესაბამისად აისახება.

თანამედროვე პირობებში ტერიტორიული დაგეგმვისა და მეურნეობის ხელმძღვანელობის მეცნიერული მანძილზე ძირფესვიანად შეიცვალა მთავარი სახალხო სამეურნეო პროპორციები, როგორც კვლავწარმოების სფეროს შორის, ისე სახალხო მეურნეობის დარგთა შორის. გაძლიერდა და გაღრმავდა სამეურნეო კავშირურთიერთობა მრავალრიცხოვან დარგთა შორის, როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე საკავშირო სხვა რესპუბლიკებთან და ეკონომიურ რაიონებთან.

ძირფესვიანად ცვლილებას განიცდიდა ერთიანი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლეობის დასახლება. მკვეთრად გაღრმდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის ნაყოფიერება და ამავე დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა, ამასთან გაუმჯობესდა მუშა-მოსამსახურეთა განაწილება დარგების მიხედვით, ამაღლდა მათი კვალიფიციური და პროფესიული შემადგენლობა. რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო პროპორციებში მომხდარი ცვლილებანი შედეგია მატერიალური წარმოების ზრდის ტემპების დიფერენციაციისა, რასაც ადგილი აქვს გეგმაზომიერი განვითარების პირობებში როგორც სახალხო-სამეურნეო, ისე დარგობრივი ჭრილით.

საქართველოს მრეწველობის დარგთა შორის უპირატესი განვითარება მიიღო ელექტროენერგეტიკამ, ქიმიურმა მრეწველობამ, მანქანათმშენებლობამ, ლითონდამუშავებამ და საშენ მასალათა მრეწველობამ, ე. ი. მრეწველობის იმ დარგებმა, რომლებიც განსაზღვრავენ სახალხო მეურნეობის ტექნიკურ პროგრესს.

საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარება თავიდანვე მისი სახალხო მეურნეობის ტერიტორიული სპეციალიზაციის და კომპლექსური მიმართულებით წარიმართა. სახალხო მეურნეობის განვითარების ახალმა მიმართულებამ გაანპირობა ჩვენს რესპუბლიკაში ახალი შიდადარგობრივი და დარგთაშორისი პროპორციების ჩამოყალიბება, როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, ისე რესპუბლიკათა შორის.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური განვითარება იმთავითვე ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად, სათობმ-ელექტროენერგეტიკული ბაზის შექმნით დაიწყო. ურომლისოდ, რა თქმა უნდა, მოუხერხებელი იქნებოდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა სამრეწველო ათვისება.

საქართველოში წარმოებული მსხვილი სამრეწველო ობიექტების მშენებლობის მაგალითზე ნათელი ხდება დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის მოთხოვნების სწორი შეხამების ეკონომიური ეფექტურობა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეძენილია სოციალისტური დაგეგმვის მდიდარი გამოცდილება, რასაც უაღრესად დიდი, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს. სოციალისტურმა მშენებლობამ მისი განვითარების ყველა ეტაპზე ცხადყო სოციალისტური ეკონომიკის გეგმაზომიერი ხელმძღვანელობის უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური უპირატესობანი.

გაიმარჯვა სახალხო მეურნეობის მართვის ლენინურმა პრინციპმა სსრ კავშირის მეურნეობის როგორც დარგობრივი, ისე ტერიტორიული დაგეგმვის თვალსაზრისით.

## კარტიული ცხოვრება

# სრულყოთ შეჯიბრების ფორმები და მეთოდები

**ი. ნოზაძე,**

საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი.

ჩვენს ქვეყანაში ტრადიციად იქცა მნიშვნელოვანი მოვლენების ახალი შრომითი მიღწევებით, სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანებით აღნიშვნა. ასეა ახლაც. სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს საიუბილეო თარიღების ღირსეულად შესვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში ჩაბმულნი არიან მშრომელთა ფართო მასები. ცალკეული რაიონნები, ქალაქები, შრომითი კოლექტივების სოციალისტური ვალდებულებანი გამომდინარეობენ იმ ამოცანებიდან, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობამ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და ივლისის პლენუმებმა დასახეს.

დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობაა ხაშურის რაიონის სამრეწველო, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ მეურნეობებში.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები უნარიანად ხელმძღვანელობენ მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას, დგანან საყოველთაოსახალხო მოძრაობის სათავეში, აქტიურად უჭერენ მხარს ყოველივე ახალს, მოწინავეს, სრულყოფენ შეჯიბრების ფორმებსა და მეთოდებს.

დამახასიათებელ ი ა ამ მხრივ ალის საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. იგი შუდნიგად ზრუნავს სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობისა და როლის, მისი შედეგიანობის ამაღლებისათვის. ამ მიზნით იყენებს იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ყველა საშუალებას. კომუნისტთა კრებებსა და პარტიული კომიტეტის სხდომებზე სისტემატურად განხილავენ საბჭოთა მეურნეობის ცალკეული განყოფილებების, ბრიგადების, მუშების ანგარიშებს მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ.

დიდი ყურადღება ექცევა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთა მატერიალურ და მორალურ წახალისებას. ამისათვის ვიყენებთ ჯილდოებს, საპატიო დაფებს, სიგელებს, ვიმპელებს, დროშებს, რომლებიც რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით მიეკუთვნებათ ხოლმე შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივებს.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის პარტიის ხაშურის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშები გადაეცათ სავაგონო დეპოს, მინის ტარის ქარხანას, სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციას, რკინიგზის საექიმო უბანს. სამახსოვრო ვიმპელი წილად ხვდა ალის საბჭოთა მეურნეობას.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის პარტიის ხაშურის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი დროშები გადაეცა ზოგიერთ ბრიგადებს, ფერმებს, ოსიაურის კოლმეურნეობებსა და ალის საბჭოთა მეურნეობებს.

ამ ბრიგადებში, ფერმებსა და კოლმეურნეობებში ადგილობრივ ორგანიზაციებმა ფართოდ გაავრცელეს ინიციატივა, ბრიგადებმა ბრძოლა გაუცხადეს ერთმანეთს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ადგილობრივ ბრიგადებს, ეჯიბრებოდნენ ალის, ოსიაურის, ფოთოლეთის, ბაკურიანის, ბაკურიანის ბრიგადებიც.

პარტიის რაიკომმა ამ ბრიგადებში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მიიღო კონკრეტული დადგენილება და განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი შრომის ტემპის გასაძლიერებლად.

ასორციელებენ რა პარტიის XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, პარტიის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სოციალისტური შეჯიბრების საკითხებს. ამ მიზნით ისინი უნარიანად იყენებენ აგიტაციის მდიდარ არსენალს. შეჯიბრების მიმდინარეობაზე მშრომელთა ფართო მასებს ესაუბრება 750 აგიტატორი და პოლიტინფორმატორი. რაიონულ გაზეთს თავის ფურცლებზე შემოღებული აქვს რუბრიკა: „მეალდებულე — შეასრულე კიდეც!“.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის საქმე კარგად მოაწყეს საკავშირო დეპოს, სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის, მინის ტარის ქარხნის, წრომის, ოსიაურის კოლმეურნეობებისა და სხვა შრომითი კოლექტივების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ამ დღეებში ჩატარებულმა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ შეაჯამა რაიონის მშრომელთა მიერ 1970 წლისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგები და ერთხმად მიიღო მიმართვა მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის დარგში ახალი, უფრო მაღალი მიზნების ასაღებად.

რაიონის მშრომელთა მიერ მიმდინარე წლის იანვარში უკვე მოპოვებულია პირველი წარმატებანი, რაც იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის სოციალისტური ვალდებულებები წარმატებით იქნება განაღდებული.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში დიდად გვეხმარება მეგობრთა მდიდარი გამოცდილება. მერვე წელია ჩვენი რაიონის მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან უკრაინის სსრ ჟიტომირის ოლქის ნოვოგრად-ვოლინსკის რაიონის მშრომელებთან. დელეგაციების ურთიერთ გაცვლით ყოველწლიურად ვაჯამებთ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს. რა თქმა უნდა, ორივე მხარე ვცდილობთ გადაჭარბებით შეავსოს ნაკისრი ვალდებულებანი, რასაც საბოლოოდ საერთო წარმატება მოსდევს.

**დ. ნოზაძე,**

საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი.

**გორდაბნის** რაიონის კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში ბოლო დროს დიდი ყურადღება ექცევა დედაქალაქის მშრომელთა მომარაგებას ბოსტნეულით წლის ყოველ დროს. აქ სათბურებში მოჰყავთ კიტრი, პამიდორი.

• • •

სურათზე: მეურნეობის მთავარი აგრონომი თ. გელოვანი და ხელოვნური ი. გალდავა ამოწმებენ კიტრის ჩითილს ნიადაგში გადარგვის წინ.

ფოტო ვ. მორგუნოვისა, (საქდესის ფოტოქრონიკა).

# პარტია და ლიტერატურა

**საქართველოს** მწერალთა კავშირმა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა მოაწყეს „ერთიანებული შემოქმედებით-თეორიული კონფერენცია „პარტია და ლიტერატურა“, რომელიც მიეძღვნა ღირსშესანიშნავ მოვლენებს — სკკპ XXIV ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას.

8-9 თებერვალს მწერალთა კავშირში სჯა-ბაასი იყო ქართული ლიტერატურის ნახევარსუკუნოვან ისტორიაზე, მისი განვითარების პრობლემებზე, სოციალისტური რეალიზმის საკითხებზე, რომლებიც იყო და არის ჩვენი მწერლების შემოქმედების მამოძრავებელი ძალა. ჩვენი პარტია შუდამ ხელმძღვანელობს დიდი ლენინის სიტყვებით, რომ „ლიტერატურული საქმე საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი უნდა გახდეს“.

კომუნისტური პარტიულობა შემოქმედების გული და სული. ქართული საბჭოთა ლიტერატურა შუდამ იყო ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის ავანგარდში. მან შემოინახა თავისი ხალხის მთელი ისტორია, რომელიც აისახა მხატვრული სახეებით. ქართველ მწერალთა ბევრი ნაწარმოები დარჩება მხატვრული სიტყვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებად და ძეგლებად, რომლებიც თაობებს მოუთხრობენ ხალხის დიდ რომანტიკაზე, გმირობაზე, მის შრომითს წარმატებებზე.

ქართველ მწერლებს, ისევე როგორც ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურის ყველა ოსტატს, თავისი შემოქმედების მაღალ დანიშნულებად, პატრიოტულ მოწოდებად მიაჩნიათ ის, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომუნიზმისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში.

— ამ დღეებში, — თქვა კონფერენციის გახსნისას, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გ. აბაშიძემ, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ვეშზადებით ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXIV ყრილობას. ჩვენ ვეგებებით ყრილობას და განუხრელად ერთგული ვართ ლენინური პარტიის საბრძოლო მოწოდებისა: მაღლა ვატაროთ საბჭოთა ლიტერატურის პარტიულობის დროშა, მთელი ძალლონე და ნიჭი მოვახმაროთ კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდას. ნამდვილი მხატვრული ნოვატორობა ამჟამად ორგანულადაა დაკავშირებული პარტიისა და ხალხის ბრძოლასთან კომუნისტური იდეალების განხორციელებისათვის.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში — ამ თემას მიეძღვნა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნების ს. ჭილაიასა და ბ. ჟღენტის გამოსვლები, რომლებმაც მიმოიხილეს 20-იანი და 30-იანი წლების ქართული საბჭოთა ლიტერატურა. ომის შემდგომ წლებში ქართველ მწერალთა მიერ შექმნილ ნაწარმოებებზე იკამათარაკა კრიტიკოსმა ლ. კალანდაძემ.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი, პროფესორ ა. ქუთელიასი — „ლენინური ასახვის თეორია და სოციალისტური რეალიზმის საკითხები“, პროფესორ მ. დუდუჩავასი — „საბჭოთა ლიტერატურის განვითარების იდეურ-ესტეტიკური საფუძვლები“, პროფესორ გ. მერკვილაძისა — „ქართული საბჭოთა რომანის ჰუმანისტური. კონცეფცია“, პროფესორ დ. ბენაშვილისა — „ტრადიციისა და ნოვატორობის პრობლემა ქართულ საბჭოთა მწერლობაში“, კრიტიკოს ვ. მაჭავარიანისა — „ეროვნული ენების პრობლემა და თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურა“, კრიტიკოს გ. გეორგიოთელისა — „ახალი ადამიანის სახე ქართულ საბჭოთა მწერლობაში“.

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობდნენ პოეტი ა. მირცხულავა, მწერალი აკადემიკოსი დ. შენგელაია, პროფესორი დ. თევზაძე, მწერალი ს. წვერავა, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ბარამიძე, კრიტიკოსები ბ. ჟღენტი და ს. ჭილაია.

კონფერენციის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გ. აბაშიძემ. (საქდესი).

## მწერალთა და მეცნიერთა გაერთიანებულ შემოქმედებით-თეორიულ კონფერენციაზე

◆

## წერილი არ დაგეჭდილა, მაგრამ...

**რედაქციამ** მიიღო მკითხველის სიგნალი, რომელიც ამხილებდა სოფელ რკვიის მაღაზიაში არსებულ უმსგავსობებს. აღნიშნული საჩივარი სათანადო ზომების მისაღებად ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომს გადაეგზავნა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ხარალიძემ რედაქციას აცნობა, რომ საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევისათვის სოფელ რკვიის № 35 მაღაზიის გამყიდველი ნ. შეყრილაძე მოხსნილია სამუშაოდან.

## ჩვენი ახალი ფოსტიდან

● ზუგდიდი. რაიონულ და საქალაქო გაზეთი „მებრძოლის“ რედაქციასთან (რედაქტორი ი. ქორთუა) ახლახან შეიქმნა მუშსოფლკორთა სკოლა, აქ გარეთიანდნენ მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების რედაქტორები, მუშა და სოფლის კორესპონდენტები.

მოიწყო სკოლის მსმენელთა ორი მეცადინეობა. მოსმენილ იქნა საკითხები: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგები და პრესის ამოცანები“, „მუშსოფლკორთა უფლება-მოვალეობანი“, „საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმი და ძირეული პრესის ამოცანები“, „თემა გაზეთში“ და სხვ.

მოხსენებათა გამოვიდნენ ჟურნალისტები, ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკები, სახალხო განათლების ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დამსახურებული მუშაკები.

**ბ. ჟორჟოლიანი.**

● ბათუმი. აჭარის ტექნიკის საოლქო სახლში გაიხსნა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ მოსკოვის პოლიტექნიკური მუზეუმის მოძრავი გამოფენა თემაზე „ულტრაბგერა და მისი გამოყენება ტექნიკაში“.

გამოფენას დიდძალი მნახველი მყავს.

**მ. ბიორგოგიანი.**

● ქობულეთი. პარტიის ქობულეთის რაიონული კომიტეტის სხდომათა დარბაზში ჩატარდა ლექცია თემაზე „საქართველოსა და აჭარის სახალხო მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავზე“.

ლექცია წაიკითხა ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორმა მ. ბაჯელიძემ.

**ო. კონცელიძე.**

● ლენინგორი. მთის მეუხარე მდინარე ცხაკატურზე რკინაბეტონის მტკაცე და საიმედო ხიდი აიგო. მცხოვრებლები კმაყოფილი არიან.

**ე. დურგლიშვილი.**

● ახალციხე. ამ დღეებში კარგი საჩუქარი მიიღეს სოფელ წყალთბილის მშრომელებმა. რაიკოოპკავშირმა სეკუსპლოატაციოდ გადასცა ახალი ორსართულიანი უნივერსალური მაღაზია.

**შ. მესხი.**

# მსოფლიო დღე

ეროვნული განთავისუფლებისა


# ე. გერეკის გამოსვლა

## პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმზე

ვარშავა, 9 თებერვალი. (საკდესი). 7 თებერვალს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედვარდ გერეკამ. ამას იუწყება პოლონეთის პრესის სააგენტო.

ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმში, თქვა ე. გერეკმა, დიდმნიშვნელოვან პერიოდს იწყებს ჩვენი პარტიის ცხოვრებაში, ქვეყნის განვითარებაში. ჩვენს წინაშე დგას ბევრი პრობლემა, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. ისინი მოითხოვენ გადაწყვეტას, მაგრამ პირობები, რომლებშიც მათ გადაწყვეტას ვიწყებთ, ძნელია. პარტიისა და სამშობლოს მთავარი რეზერვია ადამიანები, მათი პატრიოტიზმი, თავდადება და ნიჭი. ჩვენს ხალხში მძლავრი კონსტრუქციული ძალები, უზარმაზარი შემოქმედებითი ძალებია. დღეს ჩვენ მივმართავთ სწორედ ამ ძალებს — მუშათა კლასს, გლეხებსა და ინტელიგენციას.

1970 წლის 20 დეკემბერს ცენტრალური კომიტეტის მეშვიდე პლენუმზე დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებანი მოვახდინეთ. ეს ცვლილებანი განვახორციელეთ ძნელ ვითარებაში, მტკიცედ ვიყავით გამსჭვალული უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ქვეყნისა და სოციალიზმის საქმის ბედისათვის.

VII პლენუმის გადაწყვეტილებებს ფფელგან შვებითა და მხარდაჭერით შეხვდნენ. ამ მხარდაჭერას, უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის მხრივ, მაშინ ჰქონდა და მომავალშიც ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენთვის.

შეეხო რა დეკემბრის ამბების არსს, ე. გერეკმა თქვა, რომ კრიზისი მთელი რიგი წლების მანძილზე იზრდებოდა და ღრმა მიზეზები ჰქონდა. მათგან მთავარი იყო პარტიის ხელმძღვანელობასა და მუშათა კლასსა და შრომელთა სხვა ფენებს შორის ჩვენი წყობილების პირობებში ყოფილ აუცილებელი კავშირის შესუსტება და, ბოლოს, დიდი დარღვევა.

ე. გერეკმა დაასასიათა ზოგიერთი შეცდომა, რომლებიც ამუხრუჭებდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას, შეეხო პარტიული ხელმძღვანელობის საქმიანობის ნაკლოვანებებს. ამასთან მან აღნიშნა: არასწორი და საზიანოც კი იქნებოდა მიგვეჩქმალა ჩვენი ხალხის — მუშათა კლასის, გლეხებისა და ინტელიგენციის მიღწევები, პარტიის პოლიტიკის შედეგები, რომლებიც მოპოვებულია უკანასკნელ წლებში. ჩვენ არავის არ მივცემთ ნებას საკამათო გახადოს ისინი, რადგან ეს იქნებოდა სადავოდ გაგვეხადა ხალხის შრომისა და თავდადების შედეგები, სოციალისტური პოლონეთის გაერთიანებისათვის ბრძოლაში პარტიის ღონისძიებათა შედეგები.

პარტიის V ყრილობაზე მიიღეს სწორი გადაწყვეტილებანი. მათში აღნიშნული იყო, რომ საჭიროა დავადგეთ ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციის კურსს, განვავითაროთ იდეოლოგიური ცხოვრება, კადრების მიმართ პოლიტიკას საფუძვლად დავუდოთ საიმედო კრიტერიუმები. აღნიშნული იყო სხვა სწორი მიზნები. მაგრამ ყრილობის ეს გადაწყვეტილებანი არ ხორციელდებოდა.

ჯერ შესაძლებობა არა გვაქვს მთლიანი, ყოველმხრივი შეფასება მივცეთ გასულ წლებში შექმნილ მდგომარეობას, შეფასება მივცეთ ძველი ხელმძღვანელობის პოლიტიკას, თქვა შემდეგ ე. გერეკმა. ამისათვის საჭიროა, რომ დრო გავიდეს. ეს უწინარეს ყოვლისა, ეხება ამხანაგ ვლადისლავ გომულკას როლის შეფასებას. ეს სამართლიანი შეფასება უნდა იყოს, ხოლო ასეთი შეფასება ძალზე ძნელია ისეთ პირობებში, როცა ჯერაც განვიცდით ამასწინანდელ ამბებს, სიმწარესა და მიმდინარე სიძნელეებს. ჩვენ არ ვაკნინებთ მის პირად დამსახურებას პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ იძულებულნი ვართ აღვნიშნოთ, რომ, სამწუხაროდ, სადღაც სამოციანი წლების შუა ხანებში, პარტიის IV ყრილობის შემდეგ, სულ უფრო იგრძნობოდა კრიზისი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობაში.

ამასწინანდელი ამბების გამომწვევი მიზეზები და წყაროები, მიუხედავად მათი მეცარი შეფასებისა, მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რომ ავადმი პარტიის სწორ პოლიტიკურ ხაზს, გადავუხვიეთ მისი საქმიანობის ლენინურ ნორმებს. პარტიის ხელმძღვანელობით პოლონეთში სოციალიზმის მშენებლობის გენერალური ხაზი, თუ მას შეეფასებთ ჩვენი ხალხის ბედის ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით, სწორი და ურყევი ხაზია.

სწორედ ჩვენმა პარტიამ, რომელმაც დაგვისახა ეროვნული და სოციალისტური განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთადერთი სწორი გზა, დაგვისახა საბჭოთათან კავშირის გზა, იხსნა პოლონელი ხალხი მეორე მსოფლიო ომის უფსკრულიდან, გამოიყვანა ყველაზე მძიმე პერიოდიდან, რაც კი მის ათასწლოვან ისტორიაში ყოფილა.

ახლა ჩვენს წინაშე დასახული ყველა ამოცანიდან, თქვა ე. გერეკმა, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანაა უზრუნველყოთ წარმოების განვითარება, შრომის ნაყოფიერების ზრდა და ამ საფუძველზე — მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხია, განაგრძო ორატორმა, შემდგომი საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების სტრატეგიის შემუშავება. ასეთი სტრატეგია უნდა შეიმუშაოთ, რათა დავისახოთ ძირითადი საზოგადოებრივი და ეკონომიური მიზნები არა მარტო მიმდინარე ხუთი წლისათვის, არამედ მთელი ათწლეულისთვისაც.

გრძელვადიან ამოცანებს, თქვა ე. გერეკმა, ჩვენ, რა თქმა უნდა, დავსახავთ და შევასრულებთ საბჭოთა კავშირთან და სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ჩვენ სოციალისტური თანამეგობრობის ნაწილი ვართ.

ჩვენი პარტია ყველა ძირითად საკითხში სწორ საგარეო პოლიტიკას განაგრძობს. ყველა ძირითადი პრობლემის გადაჭრაში, როგორიც არის ბრძოლა სოციალისტურ სახელმწიფოთა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის პოზიციებისა და ერთიანობის განმტკიცებისათვის, ბრძოლა მთელი მსოფლიოს უშიშროებისა და მშვიდობისათვის, ჩვენი პარტია თანამშრომლობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და სხვა მოძმე პარტიებთან.

ამ ბოლო წლებში განახლდა საბჭოთა კავშირთან მეგობრობის, კავშირისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. მას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის, უშიშროებისა და განვითარებისათვის. განახლდა ავრეთვე ხელშეკრულებანი სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან. ჩვენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დავდეთ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ორმხრივი სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც გარდამტეხია პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობის ათასწლოვან ისტორიაში.

შემდეგ ე. გერეკმა ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულებისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების დადების მნიშვნელობა.

VII პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში, თქვა შემდეგ ე. გერეკმა, ჩვენ ხანმოკლე მეგობრული ვიზიტებით ვიყავით. ჩვენს მეზობლებთან — საბჭოთა კავშირში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში. ცენტრალური კომიტეტის კონტაქტიერსა და სამდივნოს წევრები ესტუმრნენ აგრეთვე სხვა მოძმე პარტიებს. გამართული მოლაპარაკების დროს მივადწიეთ ჩვენი მდგომარეობისა და ჩვენი აწლანდელი საქმიანობის სრულ გაგებას.

დიდ და მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევენ უწინარეს ყოვლისა ჩვენი ნაცადი საბჭოთა მეგობრები. ჩვენმა მოლაპარაკებამ საბჭოთა ხელმძღვანელებთან ცხადყო, რომ ყველა ძირითად პრობლემაზე ერთნაირი შეხედულებები გვაქვს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა დაუცხრომლად განამტკიცებდეს იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას მომმე სოციალისტურ ქვეყნებთან.

ჩვენ ერთად განვავითარებთ ყოველმხრივ თანამშრომლობას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში და ამასთან სულ უფრო მივანიჭებთ მას მყარი ინტეგრაციული ურთიერთობის სასიათს.

სახალხო პოლონეთს არსებითი წვლილი შეაქვს სოციალისტურ სახელმწიფოთა თავდაცვითს კავშირში — ვარშავის ხელშეკრულებაში, პოლონეთის ჯარს აქვს მძლავრი პოტენციალი, ჰყავს შესანიშნავი კადრები, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ჯარისკაცები. ჩვენ ყოველთვის შეგნებული გვაქვს საარსებო მოთხოვნები თავდაცვის დარგში და კვლავაც დიდ მნიშვნელობას მივანიჭებთ ჩვენი სახალხო შეიარაღებული ძალების განმტკიცებას, რომლებიც იდეური, თანამედროვე და დისციპლინიანი არიან, საბრძოლო ძმობა აკავშირებთ საბჭოთა არმიასთან და ვარშავის ხელშეკრულების სხვა სახელმწიფოთა არმიებთან.

ჩვენი პარტია ნაწილია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისა, რომელიც კაცობრობის ავანგარდია პროგრესისათვის, საზოგადოებრივი სამართლიანობისათვის, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჩვენ განვავითარეთ ინტერნაციონალურ ურთიერთობას სხვა მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან, ვიმუშავებთ, ვიბრძოლებთ ჩვენი მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების, პარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცების საკითხებს.

გვწამს, რომ ჩვენს მიერ არჩეული გზა სწორია, თქვა დასასრულ ე. გერეკმა. ჩვენი გზა სოციალიზმიდან არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არ გადაგვახვევინებს. მისი მიზანია მშრომელი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ეკონომიკის რაც შეიძლება სწრაფი აღმავლობა, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს, მისი შინაგანი ძლიერებისა და საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება. ამ ამოცანების გადასაწყვეტად ჩვენ ვრაზმავთ მთელ პარტიას, წარვმართავთ მის ფიქრებსა და საქმეებს.

არის ჭეშმარიტებანი, რომლებიც თვითეული პოლონელის პოლიტიკური აზროვნების ურყევი საფუძველი გახდა. პოლონელთს შეუძლია ვითარდებოდეს მხოლოდ როგორც სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირთან, ჩვენს მეზობლებთან და მოკავშირეებთან. ეს პირველი ჭეშმარიტებაა. პოლონელი ხალხის ისტორიულად ნაცადი ხელმძღვანელი ძალა, ძალა, რომელმაც ხალხი იხსნა ყველაზე მძიმე განსაცდელისაგან, რაც კი ჩვენს ისტორიაში ყოფილა, ააღორძინა იგი და გაუძღვა საზოგადოებრივი განვითარების ახალი გზით, იყო და იქნება ჩვენი პარტია. ეს მეორე ჭეშმარიტებაა. პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენს პარტიას აკისრია ქვეყნის ბედისათვის, მისი დღეგანდელი დღისა და მისი მომავლისათვის, მავალებს პოლიტბიუროს სახელით, აქ შეკრებილთა სახელით კატეგორიულად და მტკიცე რწმენით განვაცხადო, რომ თუ უგულებელყოფთ ამ ძირითად ჭეშმარიტებებს, ჭეშმარიტებებს, რომლებსაც ადასტურებს ჩვენი ხალხის დიდი ხნის პოლიტიკური განცდილება, ეს საზიანო და დამღუპველი იქნება პოლონეთისათვის.

### ჯანიკი

## გაქაჭრით გმოგენ

**10 თებერვალი. (საკდესი). ლაოსის პატრიოტული ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს სამხრეთ ლაოსში ამერიკისა და საიგონის ჯარების შეჭრას.**

განცხადებაში, რომელიც ლაოსან პატეტ-ლაოსის საანგენტომ გადასცა, აღნიშნულია, რომ თებერვლის დამდეგიდან ლაოსის ტერიტორიაზე ჯარის სხვადასხვა ქვედანაყოფის განლაგების შემდეგ, გუშინ ამერიკა-საიგონის ჯარებმა ამერიკის ავიაციის მხარდაჭერით მასირებულად შეუტიეს ჩეპონის რაიონს სამხრეთ ლაოსში და ბარბაროსულ დანაშაულს სჩადიან ლაოსელი ხალხის წინააღმდეგ.

ლაოსის პატრიოტული ფრონტი, ნათქვამია განცხადებაში, გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი საიგონელი დამქაშების ახალ ავანტიურისტულ მოქმედებებსა და აგრესიული ომის ახალ, მეტად სერიოზულ ესკალაციას.

ლაოსის პატრიოტული ფრონტი ხაზს უსვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მარიონეტების ყველა ხრიკსა და მოქმედებას, რომლებიც მიზნად ისახავენ ლაოსში აგრესიული ომის გაფართოებას, ჩაფუშავენ ლაოსის გენთავისუფლების სახალხო არმია და ლაოსელი ხალხი.

### ბულგარეთი

## ბულგარეთ-ინდოეთის ურთიერთობა

**10 თებერვალი. (საკდესი). ინდოეთის ელჩ ბ. ბ. ბანერჯეა ბულგარეთ-ინდოეთის ურთიერთობებზე ინტერვიუ მისცა ბულგარეთის ინფორმაციის ეროვნული სააგენტოს.**

ბ. ბ. ბანერჯეა ინდოეთ-ბულგარეთის ურთიერთობებზე ინტერვიუ მისცა ბულგარეთის ინფორმაციის ეროვნული სააგენტოს.

ბ. ბ. ბანერჯეა ინდოეთ-ბულგარეთის ურთიერთობებზე ინტერვიუ მისცა ბულგარეთის ინფორმაციის ეროვნული სააგენტოს.

## ბულგარეთ-ინდოეთის ურთიერთობა

**10 თებერვალი. (საკდესი). ინდოეთის ელჩ ბ. ბ. ბანერჯეა ბულგარეთ-ინდოეთის ურთიერთობებზე ინტერვიუ მისცა ბულგარეთის ინფორმაციის ეროვნული სააგენტოს.**

ბ. ბ. ბანერჯეა ინდოეთ-ბულგარეთის ურთიერთობებზე ინტერვიუ მისცა ბულგარეთის ინფორმაციის ეროვნული სააგენტოს.

### ინდოეთ-ბულგარეთ

## ინდოეთ-ბულგარეთ

**10 თებერვალი. (საკდესი). ინდოეთ-ბულგარეთ**

# საქართველოს ომა-ბაჯაგი

## შინმოუსვლელთა სტენდი სკოლაში

**ნარაზენი** ერთ-ერთი დიდი სოფელია ზუგდიდის რაიონში. ამ სოფლიდან ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობდა 500-მდე კაცი. ბევრი მათგანი გმირთა სიკვდილით დაეცა სამშობლოსათვის ბრძოლაში. ნარაზენის ქართულმა საშუალო სკოლამ (დირექტორი პ. ბელქანია) კეთილშობილური საქმე გააკეთა. ამ დღეებში აქ მოეწყო შინმოუსვლელთა სტენდი.

როგორც მოსწავლეები, ისე სოფლის მშრომელები მოდიან და ათვალიერებენ სამამულო ომში დაღუპული თანასოფლელების, შინმოუსვლელი გაქცევების ფოტოსურათებს.

**გ. კალანდია,**
**ნარაზენის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელი.**

## სამშობლოს ზრუნვა

**ჟუმაისი.** (საკ. კორ.). საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ გასულ წელს დიდი სამამულო ომის ინვალიდებზე და ომში დაღუპულთა ოჯახებზე პენსიების სახით გასცა 630.500 მანეთი.

შარშან სამამულო ომის ინვალიდთა და ომში დაღუპულთა 70-ზე მეტ ოჯახს მიეცა ახალი და გაუფართოვდა საცხოვრებელი ბინა, ინდივიდუალურ ბინათმშენებლებზე გაიცა 9.600 მანეთი გრძელვადიანი უპროცენტო სესხი. 48 ინვალიდმა მიიღო ხელით სამართავი მსუბუქი ავტომანქანა.

## ათი ფილმი

**რუსთავის** ცემენტის ქარხნის წითელ კუთხეებში ხშირად ეწყობა მრკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების გასინჯვა. მათი ავტორები არიან ქარხნის მუშები და ინჟინრები — კინომოყვარულთა ადგილობრივი წრის წევრები.

წრე არც ისე დიდი ხანია რაც შეიქმნა, მაგრამ უკვე პოპულარობა მოიპოვა მეცემენტეთა შორის. ფილმებში ასახულია ქარხნის ზრომითი დღეები, წარმოების მოწინავეთა, რაციონალიზატორთა ყოველდღიური საქმიანობა. მრავალფეროვანია მეცემენტეთა დასვენების პირობებიც — ისინი აწყობენ ექსკურსიებს, ხშირად გადიან ქალაქგარეთ, მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში. ყოველივე ამის შესახებ გვიამბობს ფილმი „მეცემენტეები ისვენებენ“.

მეცემენტეებს უკვე ათი ფილმი აქვთ გადაღებული. ახლა ისინი ამზადებენ სურათს „ცემენტის ქარხანა გუშინ, დღეს, ხვალ“. წრის წევრებს გადაწყვეტილი აქვთ მუშაობა დაამთავრონ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის.

(საქდესი).

## საპატიო ჯილდოები ქართველ ფილოსოფოსებს

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილებით საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგე პროფესორი ვ. ა. გაგნიძე დაჯილდოებულია საპატიო დიპლომით „დიალექტიკური მატერიალიზმის“ და „ისტორიული მატერიალიზმის“ დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადებისა და მეცნიერული რედაქტირებისათვის.

ამავე დადგენილებით კათედრის დოცენტი პ. ნ. აბბასრდია დაჯილდოებულია ბრინჯაოს მედლითა და ფულადი პრემიით ვ. ი. ლენინის ფილოსოფიური მემკვიდრეობის კონკრეტული კვლევისათვის ნაშრომში „ლენინური მოძღვრება თავისუფლებისა და აუცილებლობის გნოსეოლოგიური წანამძღვრების შესახებ“.

## საველიცინო ცოდნა — მასებს

**ტყიბული.** (საკ. კორ.). მაღალმთიან სოფელ მუჯურაში ორი წლის წინათ შეიქმნა სახალხო სამედიცინო უნივერსიტეტი, რომელშიც მრავალი კოლმეურნე და სოფლის ინტელიგენტი ჩაირიცხა. სწავლის პროცესში მსმენელებმა მიიღეს ელემენტარული სამედიცინო ცოდნა და მას კარგად უკავშირებენ პრაქტიკულ ცხოვრებისეულ საკითხებს.

ამ დღეებში მოხდა კურსდამთავრებულთა გამოშვება. სამედიცინო საკითხების კარგი ცოდნა გამოავლინეს სასოფლო ბიბლიოთეკის გამგემ ფ. საყვარელიძემ, მეჩაიე თ. აბესაძემ, კოლმეურნეებმა ც. კირკიტაძემ, ლ. აბესაძემ, ქ. მოდებაძემ, ე. ჯიხვაშვილმა, ა. გაბრიელიძემ და სხვებმა.

## მლერის თვითმოქმედი ანსამბლი

**ცხინვალის** კულტურის სახლის თვითმოქმედ ანსამბლს ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი აქიმ ჯიკაევი.

ანსამბლის წევრები სწავლობენ ახალ სიმღერებს. მათ შეისწავლეს „სამასი არაგველი“, ტექსტი ილია კაკაბაძისა, — მუსიკა შ. ძახოვისა, რომელსაც ასრულებს ფ. ძიგოევი; „თბილისის დილა“ — ტექსტი შალვა ფორჩხიძისა, მუსიკა მ. დავითაშვილისა, რომელსაც ასრულებენ ა. ქოქოევა, დ. ლოლოევა, ვ. ზაზროშვილი და ფ. სიუკაევა. ანსამბლის შესანიშნავი დიკლამატორები არიან ა. ქოქოევა, ი. ფარასტაევა, ც. ქოქოევა და ა. ბაგაევი. მოცეკვავეთა ჯგუფში შედიან ს. ქოქოევი, რ. კოჩიევი და ვ. ქოქოევი.

ახლახან თვითმოქმედმა ანსამბლმა კონცერტები გამართა დაბა კეკისის, აგრეთვე სოფლების მუგუთისა და ხეთაგუროვის მშრომელებისათვის.

**ფ. კაჩმაზოვა,**
**ხალხური შემოქმედების თვითმოქმედების სოლქო სახლის მეთოდისტი.**

**ი. ფესტვენიძე**

ოთხმოცი წლის საიუბილეო ასაკში გადასულ ივანე ფესტვენიძეს ბევრი ასეთი ამბავი ახსოვს. 1931 წლიდან, საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანი, პენსიონერი **იონა მიხეილის - ძე ფესტვენიძე.**

ი. ფესტვენიძე დაიბადა 1891 წელს სოფელ გეგუთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი ახალგაზრდობიდანვე ჩაება შრომითს საქმიანობაში და თავისი ბედი მთლიანად დაუკავშირა სოფლის მეურნეობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ი. ფესტვენიძე აქტიურად ჩაება ახალი ცხოვრების მშენებლობის ფერხულში. იგი 1925 წელს გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარეა. 1930 წლიდან 1953 წლამდე გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის“ თავმჯდომარე, ხოლო 1953 წლიდან ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეა.

თვითნასწავლი ორგანიზატორის ი. ფესტვენიძის ხელმძღვანელობით კოლმეურნეობა „წინსვლა“ გადაიქცა ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთ სამაგალითო კოლმეურნეობად, რომლის ბაზაზე შემდგომში შეიქმნა საყრდენ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობა.

ი. ფესტვენიძე დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენთა და რამდენიმე მედლით. არჩეული იყო საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ი. ფესტვენიძე კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატი იყო, 1936 წელს შედიოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავთან დაკავშირებით კრემლში წარგზავნილი საქართველოს სსრ მშრომელთა დელეგაციის შემადგენლობაში. მონაწილეობდა სკკპ(ბ) XVIII ყრილობის მუშაობაში, როგორც მისი დელეგატი.

სადაც კი უმუშავია ი. ფესტვენიძეს, ყველგან ავლენდა ლენინური პარტიის წევრის საუკეთესო თვისებებს. მისი ხსოვნა მარად იცოცხლებს.

**ამხანაგების ჯგუფი.**



**ი**ურეიბა ზამთარი, მაგრამ თებერვალმა ერთხელ კიდევ გვაგრძნობინა სუსხი. საქართველოს ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი რაიონებიდან ცივი ჰაერის მასები შემოიჭრა და გრიგალიც კი წარმოიშვა. გუშინ ქარის სიმძლავრე წამში 30-35 მეტრს აღწევდა. ისევე მოთოვა რესპუბლიკის ბევრ რაიონში. თეთრად გადაიპენტა მთა-გორები...

„ზამთრის დილა“ უწოდა გეგეჭკორელმა ფოტოკორესპონდენტმა გ. ჯაყელმა თავის ნამუშევარს, რომელიც ამ დღეებში გადაიღო.

## ლითოგინით დაწერილი ისტორია

ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ზუსტ ნივთიერ წყაროდ, ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან დაწყებული, თითქმის უწყვეტლივ, ვიდრე XIX საუკუნემდე, ლითონის ქართული ფულის, მისი გავრცელების დიდი არეალისა და მოჭრის ისტორია, ანუ ქართული ნუმიზმატიკა გვეკვლინება.

ხალხთა ისტორიაში ბევრს ვერ დავასახელებთ ისეთ ერებს, რომლებსაც ნუმიზმატიკის ასე მდიდარი ისტორია მოეპოვებოდეთ. ამიტომ საკვლევი ბუნებრივად მიგვაჩნია ის დიდი ინტერესი, რასაც მეცნიერები ქართული ნუმიზმატიკისადმი იმთავითვე იჩენდნენ. მართალია, პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა საქართველოს ისტორიის ამ პრობლემას მ. ბარათაშვილმა ჯერ კიდევ 1844 წელს მიუძღვნა, მაგრამ ქართული ნუმიზმატიკა სამეცნიერო დარგად საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის, პროფესორ ე. პახუმოვის, ს. კაკაბაძის, თ. ლომოურის, ს. მაკალათიას, დ. კაპანაძის და სხვათა ღვაწლით.

ახლახან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა დ. კაპანაძის „ქართული ნუმიზმატიკა“, რომელიც სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოდ არის განკუთვნილი. ჩვენი მიზანია მოკლედ განვიხილოთ ამ ფუნდამენტური ნაშრომის ავ-კარგი და შევაფასოთ მისი მნიშვნელობა ქართული საისტორიო მეცნიერებისათვის.

პირველი, რითაც ეს წიგნი ყურადღებას იპყრობს, ეს არის ჩვენი ქვეყნის მატერიალური კულტურის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის შესასწავლი ისტორიის დროის უზარმაზარი მონაკვეთი. აქ მოცემულია საქართველოში ფულის მოჭრის ისტორია, დაწყებული ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან და დამთავრებული XIX საუკუნით, რომლის მსგავსს, ხალხთა ისტორიაში იშვიათად ვხვდებით. ფაქტობრივი მასალა ძირითადად შესაბამისობაშია მოყვანილი ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან პოლიტიკურ და ეკონომიურ ისტორიასთან. უაღრესად შინაარსიანი და მრავალფეროვანი ეს მასალა სრულ წარმოდგენას იძლევა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სამონეტო ტიპებზე და ამ ტიპების პერიოდული ცვალებადობის ისტორიული პირობების შესახებ, ხოლო რუსულ და ინგლისურ ენებზე მოცემული გაშლილი რეზიუმე უდავოდ ხელს უწყობს ქართული ნუმიზმატიკის ფართო პოპულარიზაციას.

### სიტყვა ქართულ ნუმიზმატიკაზე

შესავალი ნაწილი, სადაც მოცემულია ზოგადი ცნობები ნუმიზმატიკის შესახებ, უადგილებს მკითხველს საგნის ათვისებას და ამ დარგში დამოუკიდებელი მუშაობის გაგრძელებას.

ფაქტობრივი მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და დაყოფილია ცალკე თავებად, რომლებიც კარგად ესადაგება თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მიღებულ პერიოდიზაციას.

ჩვენც მივყვეთ ამ თანმიმდევრობას დ. კაპანაძის ხაზრომის განხილვისას.

ხაზგასმით შეიძლება აღინიშნოს, რომ ქართულ ნუმიზმატიკაში ახალ აღმოჩენათა დიდი ნაწილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხდა იმ დიდი კვლევა-ძიების შედეგად, რასაც ქართველი მეცნიერები ამ დარგში ეწევიან. ასე, მაგალითად, უძველესი ქართული ფულის კოლეგრი თეთრის № 3 სახეობა თუ რუსმა მეცნიერმა ა. ზოგრაფმა გამოაქვეყნა (1945 წ.), მასზე ადრე ს. მაკალათიამ 1939 წელს № 4 სახეობას მიაგნო, ხოლო 1949 წელს სარეცენზიო წიგნის ავტორმა № 5 სახეობა აღმოაჩინა.

უდიდესი მნიშვნელობისაა ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის კოლხეთის მეფე აკის № 9 ოქროს მონეტის აღმოჩენა, რომელმაც არსებითად საშუალება მისცა დ. კაპანაძეს დაესვა საკითხი ანტიკური პერიოდი ახალოგიურ მონეტათა ჩვენში მოჭრის შესახებ. მათ შორის ძალიან საინტერესოა № 18, რომელიც კოლეგრი სტატერისა და არისტარხ კოლხელის დრაქმის, ასე ვთქვათ, ბიბრიდს წარმოადგენს. ამ მიმართულებით გაშლილმა მუშაობამ რომაული ოქროს მონეტათა ყაიდით ჩვენშივე მოჭრილი ფულის ნიმუშების აღმოჩენას ხელი შეუწყო.

დამაჯერებლად გამოიყურება VI-VII საუკუნეების ქართლის ერისმთავართა დრაქმების დასათარიღებლად დ. კაპანაძის მიერ გამოყენებული მეთოდი. მაგრამ ზოგჯერ კვლევის ამ და მსგავს მეთოდებს მეცნიერული სიღრმე აკლია. პირადად ჩვენ გვეჩვენება, რომ ბაგრატ IV სპილენძის მონეტის განსაზღვრა-დათარიღების დროს უფრო მეტი სიფრთხილე იყო საჭირო.

ქართული კულტურის მოამაგემ, ინგლისელმა მეცნიერმა დ. ლანგმა გამოაქვეყნა ბრიტანეთის მუზეუმში მხოლოდ ერთცალად დაცული დავით აღმაშენებლის ცნობილი სპილენძის მონეტა. დ. კაპანაძემ ეს № 54 მონეტა მასზე ამოკვეთილი ქართული ხელწერით „დავით, შეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომხეთა“ — ფართო მკითხველისათვის ცნობილი გახადა.

ქართული ნუმიზმატიკის გასაშუქებლად ავტორი იყენებს არა მარტო ფაქტობრივ მასალას, ეს იგი უშუალოდ მონეტებს, არამედ ლაპიდარულ ძეგლებს, ჰერალდიკურ ნიშნებს, სასტორიო ძეგლებს, ხელნაწერ წყაროთა ცნობებს და სხვ., მუშაობის ამ გზით წარმართვის შედეგად ავტორს დიდძალი ახალი მასალა დაუგროვდა, რომლებიც სათანადოდ არის გამუქებული ნაშრომში.

საგაზეთო წერილში ჩვენ მოკლებულნი ვართ საშუალებას დაწვრილებით შევეხოთ კ. კაპანაძის „ქართული ნუმიზმატიკის“ ძირითად დებულებებზე, ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოჭრილი, მაგრამ გარეგნულად უცხო მონეტების ქართული წარმოშობის დადგენის ცდა, ან ამ პრობლემის დასმა, ფაქტიურად ავტორის დასასურვებაა.

უპირველეს ყოვლისა თავის ამ ვარაუდს ავტორი ავიცელებს მონღოლთა ბატოობის XIII-XIV საუკუნეების თბილური დრაგმებზე. (№№ 99-105, 108-124, 140-142), რომლებზეც არ ვხვდებით არც ქართულ წარწერას და არც ქართველთა მეფის სახელებს. პირიქით, არაბული წარწერები იუწყებიან უცხო მფლობელის სახელს, თარიღი და რელიგიური სიმბოლოები მუსლიმანურია. სწორედ ამიტომ ქართული ნუმიზმატიკის მკვლევართა შორის გაბატონებული იყო აზრი, რომ ამ მონეტებს ქართველებისათვის თითქოს დამპყრობლები ჭრიდნენ.

დ. კაპანაძე იძლევა ამ მონეტების აღწერილობას, ამასვილებს ყურადღებას ზოგიერთ დღემდე შეუსწავლელ დეტალებზე, უპირისპირებს ამას იმდროინდელი სპარსული ისტორიკოსის რაშიდ-ად-დინის ცნობებს, და ცდილობს დაასაბუთოს, რომ ამგვარ უცხო სახის მონეტებს თვითონ ქართველები ჭრიდნენ. ავტორი ამავე მეთოდით უდგება და განიხილავს საქართველოში XVI-XVIII საუკუნეებში მოჭრილ მონეტებზე სპარსულ და არაბულ წარწერებს, რომლებიც იუწყებიან მორიგი შაპის სახელს და გადმოსცემენ მუსლიმანურ ლოცვებს. ამ მონეტებზე ჩვენ ვერ ვხვდებით ქართველი მეფის სახელს, ან თუნდაც ერთ ქართულ ასოს. ამის გამო სპეციალისტებს შორის გაბატონებული იყო აზრი, რომ საქართველოში მოქმედებდა სპარსელთა ზარაფხანის ფილიალი, რომელიც ქართველებისათვის ფულს უშვებდა (№№ 164-178, 188-202). დ. კაპანაძე მიზნად ისახავს უარყოს ეს აზრი და მისი დასაბუთების თითქოს დამაჯერებლად გამოიყურება; თავისი ამ დებულების დასამტკიცებლად იგი ნაირსახვიან წყაროებს იყენებს. მაგალითად, XIII-XIV საუკუნეების თბილური ვერცხლის წარმოშობის დასადგენად დ. კაპანაძემ თუ მხოლოდ ერთი წყაროს გამოიყენა, XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში მოჭრილი მონეტების შესახებ იგი იყენებს ქართველი და რუსი, სპარსელი თუ სომეხი, ფრანგი და იტალიელი მოგზაურების, ვაჭრების და ისტორიკოსების ცნობებს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ XVII-XVIII საუკუნეების მთელ მანძილზე ზარაფხანასა და ბაზისას ქართველი მეფეები განაგებდნენ. ქართველ ნუმიზმატიკაში ეს არის პრობლემა, რომელსაც დ. კაპანაძე აყენებს და არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ცნობილი მკვლევარის ამ საბეთილან აზრს სპარსულ-არაბულ წარწერიან ფულთა მეცნიერულად შესწავლის დიდ და საპატიო საქმეში. ავტორის ამ მოსაზრების შემდგომი კვლევა-ძიება აღბათ კიდევ უფრო ცხადყოფს.

თავისი ნაშრომის დასაწერად დ. კაპანაძემ შეამოწმა და შეისწავლა უდიდესი ფაქტობრივი მასალა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უმდიდრესი ნუმიზმატიკური ფონდი, რომლის შექმნაში ჩვენს ავტორს თავისი საპატიო წვლილი უდევს, რესპუბლიკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები (ქუთაისი, გორი, თელავი, სოხუმი, ხაშური), საბჭოთა კავშირის უსსტალეული სამუზეუმო საცავები (ლენინგრადის ერმიტაჟი, მოსკოვის საისტორიო და აზერბაიჯან-სომხეთის სახელმწიფო მუზეუმები), მსოფლიო მნიშვნელობის სამუზეუმო ცენტრები (ლონდონი, ნიუ-იორკი, პარიზი, ბერლინი) და ზოგჯერ კერძო პირების კოლექციებიც კი. ეს დიდი შრომისმოყვარეობა და პატრიოტიზმი ამშვენებდა სარეცენზიო ნაშრომის ავტორს, და წიგნიც ინტერესით იკითხება.

დიდად სამწუხაროა, რომ აღარ არის ამ მშვენიერი წიგნის ავტორი. იგი სულ ახლახან გარდაიცვალა, მაგრამ მისი ნაშრომი „ქართული ნუმიზმატიკა“ — ქართული საისტორიო მეცნიერების კარგ შენაძენად რჩება.

**ავთ. იოსელიანი.**
**პროფესორი.**

## ეს სიახლეა



**სურათზე** (წინა პლანზე): პლასტმასისაგან დამზადებული ნავი, რომელიც შეიძლება ალვეშურვოთ იალქნით ან სამცხენისძალიანი მოტორით. ნავის წონაა 25 კილოგრამი, ტვირთამწეობა — 300 კილოგრამი.

**მოსკოვი.** სახალხო მოხმარების რა ახალი საქონელი გამოვა გასაყიდად მომდინარე წელს? ეს საკითხი წყდება ამჟამად სამეურნეო საქონლისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაკეთობათა მეთორმეტე სარესპუბლიკათაშორისო ხელზრობაზე, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ასობით საწარმო და ფირმა მონაწილეობს.



**სურათზე:** ქარხანა „ესტონპლასტის“ (ესტონეთი) მიერ გამოშვებული მაგიდის ლამპები.

ფოტო ნ. კულეშოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ფეხბურთი

### სტუმრად „კრისტალთან“

**ლიმა, 10 თებერვალი.** (საკდესის კორ. ე. ელშოვი): სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ფეხბურთელები, რომლებმაც ერთი მატჩი გამართეს პერუს ჩემპიონთან — „კრისტალის“ გუნდთან (როგორც ცნობილია, თამაში ჩვენებმა მოიგეს — 2:1), კვლავ პერუს დედაქალაქში არიან. დღეს ისინი თავიანთ მეორე მატჩს თამაშობენ ამ კვეყნის ექს-ჩემპიონთან „უნივერსიტარიოსთან“, შემდეგ კი დაუცდიან ლათინურ ამერიკაში შემდგომი თამაშების კალენდრის დაზუსტებას. ჯერჯერობით ცნობილია, რომ სსრ კავშირის ნაკრები 17 და 20 თებერვალს მექსიკაში თამაშებს, ხოლო 28 თებერვალს — სალვადორში.

საბჭოთა ხალხრში დარბაზობა გაიმართა პერუში ჩვენი ნაკრები გუნდის ყოფნასთან დაკავშირებით. შემდეგ „კრისტალის“ კლუბის ხელმძღვანელებმა მიიპატიჟეს საბჭოთა ფეხბურთელები.

### კალათბურთი

### ლიდერები და აუტსაიდერები

**კალათბურთელ** ვაჟთა გუნდები განაგრძობენ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის პირველობისათვის.

უძლიერესთა სამეულში ვხედავთ ლენინგრადის „სპარტაკს“ (14 თამაშიდან 13 ქულა), კაუნასის „ჟალგირისს“ (15 თამაშიდან 11 ქულა) და ცსკა-ს (13 თამაშიდან 10 ქულა).

10 თებერვლამდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით ოთხ გუნდს — მოსკოვის „დინამოს“, ტარტუს „კალევს“, კიევის „სტროიტელსა“ და თბილისის „დინამოს“ რვა-რვა ქულა აქვთ. თბილისელებს — 14 თამაშიდან, მოსკოველებსა და კიველებს — თხუთმეტ-თხუთმეტი თამაშიდან, „კალევს“ — 16 მატჩიდან.

უკანასკნელ შეხვედრებში თბილისის დინამოელებმა მნიშვნელოვნად გააუჯობესეს თამაში და მათი მდგომარეობაც მატჩიდან მატჩამდე უმჯობესდება. ახლა საკმაოდ ბევრი რამ არია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გამოვლენ დინამოელები საკუთარ მოედანზე მომდევნო მატჩებში — 13 თებერვალს კაუნასის „ჟალგირისთან“, 17 თებერვალს — მოსკოვის „დიკასოსთან“, 24 თებერვალს — ტბილისის ვეფ-თან.

რიგის სკა-სთან შეხვედრის მოგებით გაიუმჯობესა მდგომარეობა აგრეთვე თბილისის „ბურევესტნიკმა“. ახლა მას 14 თამაშიდან 6 ქულა აქვს და მერვე ადგილი უჭირავს. დღეს „ბურევესტნიკს“ სპორტის სასახლეში მეტად პასუხსაგები ასპარეზობა აქვს ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთან კაუნასის „ჟალგირისთან“. 15 თებერვალს „ბურევესტნიკი“ უმასპინძლებს მოსკოვის „დინამოს“, 22 თებერვალს — რიგის ვეფ-ს.

კიევის სკა-ს 5 ქულა აქვს. აუტსაიდერთა სამეულში კი ოთხ-ოთხი ქულით შედიან რიგის სკა და ვეფი, აგრეთვე მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდი.

## სპორტული ამბები

**მოსკოვი** გაიმართა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა ტურნირი მძლეოსნობაში, სადაც კონკურსგარეშე გამოდიოდა ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი სოხუმელი ვ. სანეევი („დინამო“). სამბაგ ხტომაში მან აჩვენა შედეგი 16 მეტრი და 35 სანტიმეტრი. 10 კილომეტრზე რბენაში ყველას აჯობა გ. აგაპოკმა. მის მიერ ნაჩვენები დრო — 43 წუთი და 4,6 წამი შეიარაღებულ ძალთა ახალი რეკორდია დახურულ შენობებში.

**რიგაში** რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ლატვიის ზამთრის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. წარმატებით გამოვიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ელენე რიხვა. მან სიგრძეზე ხტომაში აჩვენა შედეგი — 6 მეტრი და 34 სანტიმეტრი და პირველი ადგილი დაიკავა. წელს ასეთი შედეგი ჩვენს ქვეყანაში ჯერ არავის უჩვენებია.

## გუშინ ბაკურიანში

**ბაკურიანი.** 10 თებერვალი. (ტელეფონით სპეც. კორ.). აქ გრძელდება საქართველოს პირველობის გათამაშება სათხილამურო სპორტში.

დღეს ვაჟებმა დაამთავრეს ასპარეზობა გიგანტურ სლალომში. რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ი. ნასყიდაშვილი. ორი ცდის ჯამში მან აჩვენა დრო — 2 წუთი და 52,0 წამი.

ქალთა სპეციალურ სლალომში წარმატება ვედა ბორჯომელ სპორტის ოსტატს ნ. ომიაძეს — 1.29,9.

საერთო გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ თბილისელები. მეორე ადგილზეა ბორჯომის გუნდი.

## რადიო

### 12 თებერვალი

### პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მღერის ლ. ზიკინა, 11.05 — ს. ცინცაძე. სავიოლინო კონცერტი, 11.45 — საუბარი „თბილისის მრეწველობა — სოფელს“, 12.15 — ქართველ კომპოზიტორთა პიესები საფორტეპიანო ტრიოსათვის, 12.25 — პოეზია უპირველეს ყოვლისა“, 12.30 — უკრავს ანსამბლი „მაიაკი“, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.55 — „ღიმილის წუთები“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები, (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.40 — მოსწავლეთათვის. „წიგნის თარო“, 18.05 — ზ. ფალიაშვილი. ნაწყვეტები ოპერა „ლატავრადან“, 18.45 — მღერის გ. ჩოხელი, 19.00 — ციკლიდან „დიადი წლების ქრონიკა“ — 1963 წელი, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — საუბარი „სიზმარი და ცრურწმენა“, 20.45 — მსუბუქი მუსიკა, 21.00 — „ძალისპირული“, 21.10 — მ. გლინკა. პოეტიკური ტრიო და რომანსები, 22.00 — „მწერალი მიკროფონთან“, 23.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები.

## ტელევიზია

### 11 თებერვალი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინონარკვევი, 11.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. ქართული მხატვრული ფილმი — „ლონდრე“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.40 — გახცადებები, 18.45 — სატელევიზიო ფილმი, 19.05 — ციკლიდან „ყრილობის დელეგატები“, 19.25 — „ქართული მუსიკა-50“, 20.00 — „ყალთბერთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი), 21.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 21.55 — მხატვრული ფილმი „დიდი და პატარა“.

### 12 თებერვალი

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის „პიონერია“ — (გადმოცემა კუიბიშევიდან), 11.45 — მხატვრული ფილმი — „დიდი და პატარა“, 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგუმო კომიტეტისა და საგუმო ორგანოების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომისა და კონცერტის ტრანსლაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 20.30 — მოსწავლეთათვის „საინტერესო შეკრება“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — „კანონი და კანონიერება“, 21.55 — „საბჭოთა საქართველო-50“. „პოეზიის საღამო“, 22.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა.

## თეატრები

### 11 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გედის ტბა (საღ. 6 ს. და 30 წ.). რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სანამ ურემი გადატრუსდება, გრიბოედოვის სახელობის — ჩრდილი (მე-9 აბონ. მე-6 წარმოდგენა); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ცოლები და ქმრები; მოზარდ მაყურებელთა ქართული — დეგეზია № 16 (№ 42 აბონ. 7 ს.).

## კინო

### 11 თებერვალი

ოქტომბერი, ვარძია, საქართველო (ყიფელი დარბაზი) — ბატონი არავინ; ამირანი, სპარტაკი, კოლხიდა, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, საქართველო (მწვანე დარბაზი) — ჭირვეულის მორჯულება (I, II სერია), ისანი, გაზაფხული, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — მოჯადოებული ხიფთანი; სიხარული — სპარტაკი (I, II სერია); ბათუმი ყველაფერი გასაყიდად; თბილისი საიხა (I, II სერია); ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — საუცხო დღეები შეესარტში; თანამგზავრი — ეს ვარის შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო (I, II სერია); კოლმეურნე — დედობრივი სიყვარული (I, II სერია. ქართული ვარიანტი).

## ი. ფესტვენიძე

ოთხმოცი წლის საიუბილეო ასაკში გადასულ ივანე ფესტვენიძეს ბევრი ასეთი ამბავი ახსოვს. 1931 წლიდან, საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანი, პენსიონერი **იონა მიხეილის - ძე ფესტვენიძე.**

ი. ფესტვენიძე დაიბადა 1891 წელს სოფელ გეგუთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი ახალგაზრდობიდანვე ჩაება შრომითს საქმიანობაში და თავისი ბედი მთლიანად დაუკავშირა სოფლის მეურნეობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ი. ფესტვენიძე აქტიურად ჩაება ახალი ცხოვრების მშენებლობის ფერხულში. იგი 1925 წელს გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარეა. 1930 წლიდან 1953 წლამდე გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის“ თავმჯდომარე, ხოლო 1953 წლიდან ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეა.

თვითნასწავლი ორგანიზატორის ი. ფესტვენიძის ხელმძღვანელობით კოლმეურნეობა „წინსვლა“ გადაიქცა ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთ სამაგალითო კოლმეურნეობად, რომლის ბაზაზე შემდგომში შეიქმნა საყრდენ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობა.

ი. ფესტვენიძე დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენთა და რამდენიმე მედლით. არჩეული იყო საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ი. ფესტვენიძე კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატი იყო, 1936 წელს შედიოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავთან დაკავშირებით კრემლში წარგზავნილი საქართველოს სსრ მშრომელთა დელეგაციის შემადგენლობაში. მონაწილეობდა სკკპ(ბ) XVIII ყრილობის მუშაობაში, როგორც მისი დელეგატი.

სადაც კი უმ